პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 150 (13842) | ხუთშაბათი, 29 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვახტზე

დამსახურებული ჯილდო

რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონულ განყოფილებას, ჰიათურის ნავთობგაზის კოლექტივს, კარალეთის საბჭოთა მეურნეობას

△ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებათა კოლექტივების რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1967 წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცნეს „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონული განყოფილების კოლექტივი. ამ კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

„საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის განყოფილების კოლექტივმა 1967 წლის პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა შეასრულა 118,5 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა — 114 პროცენტით. წარმატებით შესრულდა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის ტრაქტორების ტექნიკური მომზადების დაგეგმა. (საქდესი).

△ **დიდი** აღმავლობით შრომობენ საიუბილეო წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ნავთობის მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები.

საქართველოს ნავთობის მომარაგებისა და გასაღების სამმართველომ და საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეჯამეს რესპუბლიკური შეჯიბრების 1967 წლის პირველი კვარტალის შედეგები და გამარჯვებულად ცნეს ჰიათურის ნავთობბაზის კოლექტივი. მას ზედიზედ მეორეჯერ მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა ბათუმის ნავთობბაზის კოლექტივმა, მესამე — გორის ნავთობბაზის კოლექტივმა. (საქდესი).

△ **გორი.** („კომუნისტის“ საკ. კორ.). კარალეთის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ძლიერი და მოწინავეა რაიონში. ყოველივე ეს განაპირობა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა თავდადებულმა შრომამ. მათ გასულ წელს ხილის წარმოების გეგმა 113 პროცენტით შეასრულეს, ყურძნისა 127,4 პროცენტით, მარცვლეულისა 139,9 პროცენტით, ბოსტნეულისა 113,2 პროცენტით. კარგი შედეგები ჰქონდათ მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეშიც.

კარალეთელთა მუყაითი შრომა სათანადოდ დაფასდა. მეურნეობა დაჯილდოდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

გარდამავალი დროშის გადაცემას მიეძღვნა საზეიმო შეკრება, რომელიც ამ დღეებში კარალეთის კულტურის სახლში გაიმართა. მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ბ. რაზმაძემ** შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა მეგანახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველს **ვ. მირიანაშვილს.** მან ფართოდ ილაპარაკა კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მიღწევებზე და საიუბილეო წლის ამოცანებზე, შემდეგ მეურნეობის დირექტორს **მ. ჯაჯაშვილს** გადასცა გარდამავალი დროშა.

მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა ბათუმის ნავთობბაზის კოლექტივმა, მესამე — გორის ნავთობბაზის კოლექტივმა. (საქდესი).

△ **გორი.** („კომუნისტის“ საკ. კორ.). კარალეთის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ძლიერი და მოწინავეა რაიონში. ყოველივე ეს განაპირობა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა თავდადებულმა შრომამ. მათ გასულ წელს ხილის წარმოების გეგმა 113 პროცენტით შეასრულეს, ყურძნისა 127,4 პროცენტით, მარცვლეულისა 139,9 პროცენტით, ბოსტნეულისა 113,2 პროცენტით. კარგი შედეგები ჰქონდათ მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეშიც.

კარალეთელთა მუყაითი შრომა სათანადოდ დაფასდა. მეურნეობა დაჯილდოდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

გარდამავალი დროშის გადაცემას მიეძღვნა საზეიმო შეკრება, რომელიც ამ დღეებში კარალეთის კულტურის სახლში გაიმართა. მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ბ. რაზმაძემ** შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა მეგანახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველს **ვ. მირიანაშვილს.** მან ფართოდ ილაპარაკა კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მიღწევებზე და საიუბილეო წლის ამოცანებზე, შემდეგ მეურნეობის დირექტორს **მ. ჯაჯაშვილს** გადასცა გარდამავალი დროშა.

რკინიგზელთა წარმატება

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა მრავალათასიანმა კოლექტივმა, რომელიც შრომით ვახტზე დგას დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა — ვადამდე — 27 ივნისს შესრულდა დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა.

თვის დამლევამდე გაიგზავნება ხუთწლედის ასეულ ათასამდე ტონა ტვირთი.

ამიერკავკასიის რკინიგზელებმა მხარი დაუჭირეს ვოლგისპირეთის მაგისტრალის კოლექტივის პატრიოტულ ინიციატივას და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დამატებით დატვირთვისათვის ვაგონების გათავისუფლების ვალდებულება.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ვაგონების ბრუნვის დაჯალებანი და დაჯალებანი სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით.

ფოლადის მაგისტრალების მშრომელთა დამკვრელური ვახტი გრძელდება. (საქდესი).

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

28 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრების პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩმენკო, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ბ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჯანუაშვილი, ბ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ო. ი. ლოლაშვილი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

კრებამ მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. თხილაიშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელის მეფოლადე ვ. ნ. აბდალაძე, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. მ. ბუაჩიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ჯუსოევი, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ა. უტიაშვილი, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ე. შარტავა, ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ა. ლაკინა, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ს. კობახიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ვ. დ. ღოღობერიძე, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შ. ო. გრძელიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი რ. ვ. მეტრეველი.

პარტიული აქტივის კრებაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. (საქდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს წევრს, ეროვნული თავდაცვის სამინისტროს გენერალურ მდივანს მაიორ შაბუს

26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციურ საბჭოს წევრს, ეროვნული თავდაცვის სამინისტროს გენერალურ მდივანს მაიორ აბდელ-კადერ შაბუს, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ნ. პ. დაგაევი.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ფიდელ კასტროს

ჰავანა, 28 ივნისი. (საქდესი). კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში 27 ივნისს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტრო რუსის საუბარი.

ამხანაგურ ვითარებაში მოხდა აზრთა გულწრფელი ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკისათვის საინტერესო მთელ რიგ საკითხებზე.

საუბარში აგრეთვე მონაწილეობდნენ:

კუბის მხრივ — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე რაულ კასტრო, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ორგანიზაციული საკითხებში არმანდო ჰარტი, შინაგან საქმეთა მინისტრი რამირო ვალდესი, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის პირველი მოადგილე ხუან ალმეიდა, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე სერხიო დელ ვალე, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე გილიერმო გარსია, აგრეთვე კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეოპოლიტიკური საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოსმანი სიენფუეგოსი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ ა. ნ. კოსიგინის თანმხლები ოფიციალური პირნი, აგრეთვე სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული კუბის რესპუბლიკაში ი. ვ. ლებედევი.

ჰავანა, 28 ივნისი. (საკდესი). 27 ივნისს საღამოს გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტრო რუსის საუბარი.

გულახდილ ამხანაგურ ვითარებაში გრძელდებოდა აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომელთა განხილვა დაიწყო წინა შეხვედრის დროს.

საუბარში კუბის მხრივ მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე რაულ კასტრო, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ლ. მ. ზამიატინი და ლ. ი. მენდელევიჩი.

შიდელ კასტრომ სადილი გამართა ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად

ჰავანა, 28 ივნისი. (საკდესი). კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ 27 ივნისს სადილი გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად.

სადილმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ა. ნ. კოსიგინმა და ფიდელ კასტრომ სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

სსრ კავშირში საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის ჟ. პომპიდუს მოსავალი ვიზიტის გამო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჟ. პომპიდუ დაეთანხმა საბჭოთა მთავრობის თხოვნას სსრ კავშირში ჩამოვიდეს ოფიციალურ ვიზიტად.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ეს ვიზიტი გაიმართება 1967 წლის 3-8 ივლისს.

პრემიერ-მინისტრ ჟ. პომპიდუსთან ერთად ჩამოვა საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი.

ვადამდე

შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის 1967 წლის პირველი ნახევრის გეგმა

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ვადამდე შესრულდა რძის, ხორცისა და კვერცხის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

მიმდინარე წლის 20 ივნისისათვის შესყიდულია 18.614 ათასი ტონა რძე, ანუ 1 მილიონ 581 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში; პირუტყვი — 4.818 ათასი ტონა, ანუ 918 ათასი ტონით მეტი; კვერცხი — 7.858 მილიონი ცალი, ანუ 508 მილიონი ცალით მეტი.

საბჭოთა უმაღლესი სკოლა 50 წლის მანძილზე

პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის

ამ ქვეყანამ, რომლის მოსახლეობის სამი მეოთხედი ნახევარი საუკუნის წინათ უწიგნური იყო, კაცობრიობის ისტორიაში პირველად შექმნა განათლების ნამდვილად დემოკრატიული სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს კომუნიზმის დიადი იდეალები. ეს თქვა 27 ივნისს საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სკოლებმა მოამზადეს დაახლოებით 7,5 მილიონი სპეციალისტი უმაღლესი განათლებით და თითქმის 12 მილიონი სპეციალისტი საშუალო სპეციალური განათლებით.

უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპეციალისტთა გამოშვება წლითიწლობით იზრდება. მარტო შარშან სსრ კავშირში მოამზადეს 179 ათასი ინჟინერი, ხოლო მიმდინარე წელს ეს ციფრი 200 ათასამდე გაიზარდა. ახლა ჩვენს ქვეყანაში 767 უნივერსიტეტი და ინსტიტუტია, სადაც სწავლობს 4 მილიონ 123 ათასი სტუდენტი.

შემდეგ ვ. პ. ელიუტინმა ილაპარაკა საბჭოთა უმაღლესი სკოლის მრავალეროვნულ ხასიათზე. უმაღლესი სასწავლებლების ქსელის განვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს. მაგალითად, შუა აზიის ხალხებს არ ჰყავდათ ინტელიგენცია. ახლა კი იქ ყოველ მეოთხე მცხოვრებს უმაღლესი ან საშუალო განათლება აქვს.

სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია საღამოსა და დაუსწრებელი განათლების სისტემის შექმნა, სადაც სწავლობს ამჟამად მთელი ჩვენი სტუდენტების დაახლოებით ნახევარი.

წლითიწლობით სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს სულ უფრო მეტი უცხოელი სტუდენტი, განსაკუთრებით ბევრი ახალგაზრდა ჩამოდის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან. ახლა ჩვენს სასწავლებლებში სწავლობს 130 ქვეყნის 24 ათასზე მეტი ქალაქიელი და ჭაბუკი. მიმდინარე წელს თითქმის 4 ათასი უცხოელი ამთავრებს საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებს.

ვ. პ. ელიუტინმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებზე. (საკდესი).

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სესიის შედეგები

ორ კვირას მიმდინარეობდა მოსკოვში სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესია. 28 ივნისს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში ლენინის გორაზე, სადაც სესია მიმდინარეობდა, გაიმართა სიმპოზიუმი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა განიხილეს სტანდარტიზაციის დარგში მუშაობაზე მეცნიერებისა და ტექნიკის გავლენის საკითხები, აღნიშნეს სტანდარტიზაციის როლი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში. დისკუსიაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტთა, ზომათა და საზომ ხელსაწყოთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ბოიცოვი, ბრიტანეთის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის დირექტორი რ. ბინი, იაპონელი პროფესორი შ. მატუურა და სხვები.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჯ. განდიმ და საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ვ. ბოიცოვმა შეაჯამეს სესიის შედეგები. (საკდესი).

პირველი უცხოელტავიანი ბენზინი

ვოლგოგრადის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ახლახან აშენებულ სამრეწველო დანადგარზე 27 ივნისს მიიღეს პირველი უხვოქტავიანი ბენზინი. ამ დანადგარზე ყველა ტექნოლოგიურ პროცესს ოპერატორები მართავენ ავტომატი ხელსაწყოების საშუალებით.

ვ. ი. ლენინის ძეგლი კრემლში

ხუთ წელზე მეტხანს ცხოვრობდა და მუშაობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მოსკოვის კრემლში. აქ ბევრჯერ გამოსულა იგი სახალხო კომისართა საბჭოსა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე, პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე. რევოლუციის დიდი ბელადი აქედან ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებას.

კრემლში, საბჭოთა მთავრობის შენობაში არის და წმიდად ინახავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის კაბინეტსა და ბინას.

ცოტა ხანიც და კრემლის ძველ მიწაზე, თვალწარმტაც სკვერში აღიმართება ვ. ი. ლენინის ძეგლი. ბრინჯაოსა და გრანიტის დიდებული მონუმენტი დაიდგმება ლენინგრადელების — მოქანდაკე ვ. ბ. პინჩუკისა და არქიტექტორ ს. ბ. სპერანსკის პროექტით.

ავტორებმა ქანდაკებით განასახიერეს ლენინისათვის დამახასიათებელი ნიშნები — დიდი გონება, ღრმა ადამიანურობა, უბრალოება, დაუშრეტელი ენერგია.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბრინჯაოს 3,5-მეტრიანი ფიგურა დაიდგმება გრანიტის კვარცხლბეკზე კრემლის სკვერში. მომავალი ძეგლისათვის უკვე გამოყოფილია ნაკვეთი. აქ მალე მოვლენ მშენებლები.

მონუმენტის დაპროექტებასა და მშენებლობას ახორციელებენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომი. (საკდესი).

КОММУНИСТ

SAKARTVELOS KOMUNISTURI PARTIIS CENTRALURI KOMITETIS, SAKARTVELOS SSR UMAGLESI SABCHOSA DA SAKARTVELOS SSR MINISTRTA SABCHOS ORGANO

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

Year of publication 48
№ 150 (13842) | Thursday, June 29, 1967 | Price 2 kop.

საიუბილეო ვახტზე

დამსახურებული ჯილდო

ბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა ბათუმის ნავთობბაზის კოლექტივმა, მესამე — გორის ნავთობბაზის კოლექტივმა. (საქდესი).

△ **გორი.** („კომუნისტის“ საკ. კორ.). კარალეთის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ძლიერი და მოწინავეა რაიონში. ყოველივე ეს განაპირობა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა თავდადებულმა შრომამ. მათ გასულ წელს ხილის წარმოების გეგმა 113 პროცენტით შეასრულეს, ყურძნისა 127,4 პროცენტით, მარცვლეულისა 139,9 პროცენტით, ბოსტნეულისა 113,2 პროცენტით. კარგი შედეგები ჰქონდათ მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეშიც.

კარალეთელთა მუყაითი შრომა სათანადოდ დაფასდა. მეურნეობა დაჯილდოდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

გარდამავალი დროშის გადაცემას მიეძღვნა საზეიმო შეკრება, რომელიც ამ დღეებში კარალეთის კულტურის სახლში გაიმართა. მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ბ. რაზმაძემ** შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა მეგანახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველს **ვ. მირიანაშვილს.** მან ფართოდ ილაპარაკა კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მიღწევებზე და საიუბილეო წლის ამოცანებზე, შემდეგ მეურნეობის დირექტორს **მ. ჯაჯაშვილს** გადასცა გარდამავალი დროშა.

მარგანეცი აგვისტოს ანგარიშში

ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 18 ივნისისათვის შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების შვიდი თვის დავალება და აგვისტოს ანგარიშში სამშობლოს მისცა ათასობით ტონა მარგანეცი. აღსანიშნავია, რომ მაღარო აგვისტოს ანგარიშიც მაღალი ხარისხის მადანს იძლევა.

თავდადებულად მუშაობენ საწარმოო უბნებისა და პროფესიების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივები, რომლებსაც ა. კენჭოშვილი, ტ. ფარადე, გ. გაფრინდაშვილი უძღვებიან.

ორჯონიკიძელები ახალი წარმატებებით შეეგებვებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ვ. სამხარაძე,
ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორი,
პ. კაპანაძე,
მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის

თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, მატარებლების შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, შეჯიბრების გამარჯვებულთათვის — თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს სამსახურებისა და სამეურნეო ერთეულების კოლექტივებისთვის დაწესდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

გარდამავალ წითელ დროშას და პირველ ფულად პრემიას მიანიჭებენ კვარტალში ერთხელ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის წარდგინებით. (საქდესი).

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, მინდვრებსა და პლანტაციებში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

პირველ სურათზე ხედავთ მოწინავე ფეიქარს თინა სონიაშვილს. დიდი ხანი არ არის, რაც იგი რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში მოვიდა. მალე ერთ-ერთმა პირველმა ათთვისა ძვირფასი მასალის — კორდის ქსოვილის დამზადება. მეორე სურათზეა სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კოლმეურნეობის საუკეთესო მეფრინველე ნუნუ ბიძინაშვილი. სოფელში მას „წიწილების დისასხლისს“ ეძახიან. ახლა ნუნუ 2.500 ფრთა წიწილას ზრდის. ყოველდღე გვიან საღამომდე თავს დასტრიალებს პატარა მეგობრებს. ხოლო როცა დაბინდდება, კომკავშირელი ნუნუ ბიძინაშვილი წიგნებს ჩაუჯდება. მალე საგამოცდო სესიაა. ის კი დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს ზოოტექნიკურ-საკვებერნარო ინსტიტუტში და კარგად უნდა იმეცადინოს. მესამე სურათზეა ბათუმის გემთსამშენებლო ქარხნის წარჩინებული ზეინკალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალმანეს დუმბაძე. ბევრ ზღვას სერგავენ ამ ქარხნის მიერ გამოშვებული წყალქვეშაფრთიანი გემები, და თვითეულ მათგანში წარმოების ამ პირველხარისხოვანი მუშაკის შრომის წილიც არის.

ფოტო ვლ. გინზბურგისა („კომუნისტი“), ი. დავითაშვილის, ხ. თევზაძისა და ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ნობათი სამშობლოს

წითელწყაროს, ცხინვალისა და ლანჩხუთის რაიონებმა, ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმები.

◆ **წითელწყაროს** რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმები. ნაცვლად 858 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 950 ტონა ხორცი, ნაცვლად 3.520 ტონისა — 3.861 ტონა რძე, ნაცვლად 4.250 ათასი ცალისა — 5.716 ათასი ცალი კვერცხი, ნაცვლად 189 ტონისა — 204 ტონა მატყული, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გონაშვილმა, წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. შანაშვილმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ხუცურაულმა.

◆ **ცხინვალის** რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ექვსი თვის გეგმები, ნაცვლად 3.295 ცენტნერისა სახელმწიფოს მიეყიდა 4.357 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად 11.875 ცენტნერისა — 11.885 ცენტნერი რძე, ნაცვლად 248.000 ცალისა — 358.200 ცალი კვერცხი — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ ცხინვალის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. თადტაევმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ბესაევმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ს. დარსაველიძემ.

◆ **ლანჩხუთი.** („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეცხოველეებმა წარმატებით იშრომეს და ნახევარი წლის გეგმები ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.927 ცენტნერი რძე ნაცვლად 7.900 ცენტნერისა. სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 117,5 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვისა და პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები.

გეგმით გათვალისწინებული 8.000 სული პირუტყვის ნაცვლად საკოლმეურნეო ფერმებს ჰყავთ 9.842 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. გადაჭარბებით არის შესრულებული ძროხების, ღორის სულადობის ზრდის გეგმები. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმები უკვე შეასრულეს ეზრის, არჩეულის, ზემო აკეთის, მაჩხვარეთის, ხიდმაღალას კოლმეურნეობებმა.

ოქტომბრის 50 წლისთავის გამო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით საერ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲡᲚᲔᲑᲐᲡ

ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ უᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ შᲝᲠᲘᲡ, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, ერთ-ერთი მთავარია შრომის უფლება.

სსრ კავშირის მოქალაქეს აქვს შრომის უფლება — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ადამიანი გარანტირებულია სამუშაოთი, ხოლო შრომა უნაზღაურდება შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. თავის მხრივ მოქალაქე ვალდებულია დაიცვას შრომის დისციპლინა.

ყოველივე ეს კანონით არის განმტკიცებული და არავის არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს მის განხორციელებას. საბჭოთა შრომითი კანონი განუხრელად უნდა დავიცვათ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი სუსტად იბრძვის წარმოებაში დისციპლინის განმტკიცებისა და წესრიგისათვის, ცუდად იყენებს სამუშაოს გამცდენთა, დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი ზემოქმედების შესაძლებლობებს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ დისციპლინარულ ღონისძიებებს. ამასთან ერთად ხშირია შემთხვევები, როცა საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან უსაფუძვლოდ, შრომითი კანონის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად ითხოვენ ადამიანებს.

ამას წესით საქართველოს სსრ პროკურატურამ და უმაღლესმა სასამართლომ შეი.წავლეს სასამართლო-საპროკურორო პრაქტიკა სამუშაოზე მოქალაქეთა აღდგენის შესახებ.

როგორც გამოირკვა, სასამართლო ორგანოები ყოველწლიურად განიხილავენ ბევრ საქმეს სამუშაოზე აღდგენის შესახებ. ამ კატეგორიის საქმეები წლების მანძილზე არ მცირდება. მაგალითად, 1962 წელს რესპუბლიკის სასამართლოებმა განიხილეს სამუშაოზე აღდგენის 1.026 საქმე, 1963 წელს — 1.134 საქმე, 1964 წელს — 1.135, 1965 წელს — 1.105, ხოლო შარშან — 1.052 საქმე.

მეტ წილ სარჩელებს სამუშაოზე აღდგენის შესახებ აკმაყოფილებენ. ეს მოწმობს, რომ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი მუშებსა და მოსამსახურეებს უსაფუძვლოდ ითხოვს სამუშაოდან, უხეშად არღვევს შრომის კანონმდებლობას.

1.105 საქმიდან, რომლებიც რესპუბლიკის სასამართლოებმა 1965 წელს განიხილეს, სამუშაოზე აღდგენის სარჩელი დაკმაყოფილეს 587 საქმის გამო, ესე იგი 77,6 პროცენტი. 1.052 საქმიდან, რომლებიც სასამართლოებმა შარშან განიხილეს, სარჩელები დაკმაყოფილეს 754 საქმის გამო, ესე იგი 75,4 პროცენტი. რესპუბლიკის სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები აღკვეთავენ შრომითი კანონმდებლობის დარღვევის მრავალ ფაქტს, რასაც ცალკეულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები უშვებენ.

რესპუბლიკის პროკურატურამ და უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანეს დასკვნა, რომ მუშათა და მოსამსახურეთა არასწორი დათხოვნისა და მათი სამუშაოზე აღდგენის მრავალი გადაწყვეტილების ერთ-ერთი არსებითი მიზეზია ის, რომ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ჯერ კიდევ ბევრი ხელმძღვანელი სუსტად ერკვევა შრომის კანონმდებლობის საკითხებში. ისინი ხშირად უსაფუძვლოდ ითხოვენ მუშებსა და მოსამსახურეებს, რითაც არღვევენ შრომის კანონთა კოდექსის და პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ დებულების მოთხოვნებს.

ბრძანებებში დათხოვნის შესახებ ხშირად მოყვანილი არ არის ის მოტივები და კონკრეტული ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო შრომითი ხელშეკრულების გაუქმებას. ბრძანებებში არ არის მითითებული, თუ კანონის რომელი მუხლი არის დარღვეული. სასამართლო ორგანოები აკმაყოფილებენ ამ პირთა სარჩელებს სამუშაოზე აღდგენის შესახებ. მაგალითად, „საქსოფფლტექნიკის“ წარმოების ბიუროს დირექციამ შარშან მდივან-მემანქანის თანამდებობიდან გაათავისუფლა ნ. ისაკოვა იმის გამო, რომ მან თითქოს „თავი ვერ გაართვა სამუშაოს“. მაგრამ ამის დამადასტურებლად არავითარი ფაქტი არ არის მოყვანილი სათანადო ბრძანებაში. საქმის მასალებიდან გამოირკვა, რომ ნ. ისაკოვა დიდხანს მუშაობდა ამ თანამდებობაზე და კარგადაც ართმევდა თავს საქმეს, არ ჰქონია შენიშვნები. წარკოლის რაიონის სახალხო სასამართლომ დაკმაყოფილა ისაკოვას სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ისეთი შემთხვევები, როცა მუშაკის სამუშაოდან დათხოვნისას ირღვევა სასჯელის დადების ვადები და წესი. მაგალითად, ლენინგრადის ჩაის ფაბრიკის დირექციამ სამუშაოდან გაათავისუფლა დარაჯი დ. ხორავა სიფხიზლის მოდუნების გამო. ხორავა სამუშაოდან დაითხოვეს იმ დროს, როცა იგი მორიგ შვებულებაში იყო. ამით ადმინისტრაციამ უხეშად დაარღვია კანონის მოთხოვნა, რომელიც კრძალავს მუშაკთა დათხოვნას სამუშაოდან, როცა ისინი მორიგ შვებულებაში არიან. ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლომ აღადგინა ხორავა წინანდელ სამუშაოზე და საწარმოს გადაახდევინა ძალაუნებურად გაცდენილი 20 დღის ხელფასი.

არ შეიძლება მუშაკის დათხოვნა სპეციალური განათლების უქონლობის გამო გამოუსადეგარობის მოტივით, თუ ეს განათლება აუცილებელი პირობა არ არის მოცემულ სამუშაოზე მისაღებად, ხოლო საქმიანი თვისებებთა და გამოცდილებით მუშაკი ვარგა ამ სამუშაოსათვის.

ცალკეულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები სამუშაოდან ითხოვენ მუშაკებს ისე, რომ არ ათანხმებენ საკითხს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებთან. ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი კომიტეტები იმის მაგივრად, რომ დაიცვან მუშაკის კანონიერი ინტერესები, იძლევიან თანხმობას დათხოვნაზე მუშაკის არყოფნის დროს, და არც კი აცნობებენ მას, თუ როდის გაიმართება ადგილობრივი კომიტეტის სხდომა. ეს კი იმ მოთხოვნის დარღვევაა, რომლის თანახმად პროფკავშირულ ორგანიზაციას უფლება არა აქვს განიხილოს მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის საკითხი, თუ არ აცნობა მას.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მუშაკს სამუშაოდან ითხოვენ მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ამის წინააღმდეგია. მაგალითად, ბოლნისის ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტობუსის მძღოლმა გ. ჯაფარიძემ გასული წლის მაისში დაარღვია შრომითი დისციპლინა. კანტორის ადმინისტრაციამ პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს სთხოვა თანხმობა მძღოლის დათხოვნაზე. ადგილობრივმა კომიტეტმა არ დაკმაყოფილა ეს თხოვნა, რადგან მიიჩნია, რომ საკმარისი იქნებოდა დისციპლინური სასჯელის დადება ბრძანებით. მაგრამ ბოლნისის ავტოსატრანსპორტო კანტორაში ჯაფარიძე სამუშაოდან დაითხოვეს. ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლო დასჯერდა იმას, რომ გამოიტანა გადაწყვეტილება სამუშაოზე ჯაფარიძის აღდგენის შესახებ, მაგრამ არ გამოუტანია კერძო განჩინება იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებმაც მძღოლი უკანონოდ დაითხოვეს სამუშაოდან.

ზოგი თანამდებობის პირი არ ემორჩილება სასამართლოს გადაწყვეტილებას სამუშაოდან უსწორად დათხოვნილი მუშაკის თავის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, რითაც იგი კიდევ უფრო არღვევს მის მიერ ჩადენილ იმ შეცდომებს, რომ უსწოროდ დაითხოვა სამუშაოდან პატიოსანი მუშაკი.

სასტუმრო „ოდიშის“ (ზუგდიდი) დირექტორმა ლ. ცხადაიამ გასული წლის ივლისში ადგილკომთან შეუთანხმებლად დაითხოვა სამუშაოდან ამავე სასტუმროს მორიგე ადმინისტრატორი გ. ქებურია.

მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროს ადგილკომის გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ ათი თვის წინ იქნა აღდგენილი სამუშაოზე ქებურია, რის შესახებაც აღმასრულებელი ფურცელი გასცა სახალხო სასამართლომ, ლ. ცხადაიამ არ მოიყვანა სისრულეში ადგილკომის გადაწყვეტილება და სახალხო სასამართლოს მითითება. ქებურიამ კი მთელი ათი თვის ხელფასი მიიღო, რაც შეადგენს 590 მანეთს.

სწორედ ასეთ შემთხვევაში არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლით, რომლის მიხედვით:

„შრომელის უკანონოდ დათხოვნა სამუშაოდან პირადი დაინტერესებით, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა, განზრახ ჩადენილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს თანამდებობის პირის მიერ — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნით“.

ზუგდიდის რაიონის პროკურორმა ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით მისცა პასუხისგებაში სასტუმროს დირექტორი ლ. ცხადაია და საქმე განსახილველად გადასცა სასამართლოს.

შემოწმებამ ცხადყო, რომ სრულად და ყოველმხრივ არ სწავლობენ გარემოებას. სასამართლოები საკმაოდ არ აბამენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვაში. მაგალითად, 1965 წელს სასამართლოების მიერ სამუშაოზე აღდგენის შესახებ განხილული 1.105 საქმიდან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მხოლოდ 37 საქმეში. 1966 წელს კი ამ კატეგორიის 1.052 საქმიდან — 14 საქმის განხილვაში. ცოტას განიხილავენ სამუშაოზე აღდგენის საქმეებს სახალხო სასამართლოების გამსჯელი სხდომები.

სამუშაოზე აღდგენის საქმეების შესწავლამ ცხადყო, რომ ზოგჯერ ამ საქმეებს განიხილავენ ისე, რომ პროკურორები არ იღებენ მონაწილეობას. პროკურორები სათანადო ინიციატივას ვერ იჩენენ, რომ სასამართლოს წინაშე აღძრან კანონის დარღვევის გამო კერძო განჩინებათა გამოტანის საკითხები, რომ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მესამე პირთა სახით ჩაებან ხელმძღვანელები, რომლებმაც აშკარად უკანონოდ დაითხოვეს მოქალაქენი. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზუგდიდის, წალენჯიხის, წულუკიძის რაიონების, ქალაქ ტყიბულის და სხვა პროკურატურებში, სადაც ასეთი საქმეების მნიშვნელოვან ნაწილს სასამართლოები განიხილავენ ისე, რომ პროკურორები არ მონაწილეობენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 217 მუხლის თანახმად არასწორად დათხოვნილი მუშაკის წინანდელ სამუშაოზე აღდგენა, როგორც წესი, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, ე. ი. სასამართლო არ უნდა დაელოდოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით განხილვა-განხილვას, მაგრამ კანონის ამ მოთხოვნის სახალხო სასამართლოები თითქმის სრულებით არ იცავენ, ხოლო პროკურორები თავის მხრივ არ შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე ამ კანონის გამოყენების შესახებ.

რესპუბლიკის სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისათვის, მშრომელთა აღზრდისათვის უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ სახელმწიფო შრომითი დისციპლინის განმტკიცება შეიძლება იმ საფუძველზე, რომ განუხრელად დაიცვან საბჭოთა სამეურნეო კანონმდებლობის მოთხოვნები, დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ, კანონები შრომის შესახებ, კოლექტიურ ხელშეკრულებათა პირობები, რომ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა შრომისა და წარმოების სწორი ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დაავალეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის პროკურატურებსა და სასამართლოებს გააძლიერონ ზედამხედველობა შრომის კანონმდებლობის ზუსტად დაცვისადმი, დროულად განიხილონ სასამართლო-პროკურატურის ორგანოებში შრომითი დავის საკითხები.

პროკურატურებსა და სასამართლოებს დაეგალათ უზრუნველყონ, რომ პროკურორება მონაწილეობდნენ სასამართლოებში სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვაში, კანონის აშკარა დარღვევით მუშაკის დათხოვნის დროს იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე, რომ საქმეში მესამე პირად მონაწილეობა მიიღებინონ თანამდებობის პირს, რომლის განკარგულებითაც მოხდა დათხოვნა ან გადაყვანა, რათა თანამდებობის პირს გადაასდებინონ ზარალი, რომელიც ორგანიზაციას მოუვიდა იმის გამო, რომ დათხოვნილს გადაუხადა გაცდენის ხელფასი.

საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე! მთელ დედამიწაზე ამაყად ჟღერს ეს სიტყვები და არავის უფლება არა აქვს ჩვენს ადამიანებს შეულახოს სიამაყის ეს გრძნობა. საბჭოთა მოქალაქის ღირსებას კანონი იცავს და ეს კანონი მტკიცედ უნდა ხორციელდებოდეს.

ბ. ᲑᲘᲠᲬᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე.

ᲕᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲘᲪᲘᲡ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ორნი ვიუყავით. ჩვენს შორის გულია საუბარი გაიმართა:

— ტუიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში ყოველწლიურად დიდძალი ალმავალი სამთო გამონამუშევარი — გამკვეთი გაკეთავთ, —მითხრა დალამვის კანტორის მთავარმა ინჟინერმა, რაციონალიზატორმა ჯუმბერ აფხაიძემ. — მათი საერთო სიგრძე 34 ათას გრძივ მეტრს აღემატება. გამკვეთი ერთმანეთთან აკავშირებს საზიდ და სავენტილაციო გამონამუშევრებს. გამკვეთის რომ გათხრიან, ამოქმედდება ლავა და მეშახტეები იწყებენ სათბობის მოპოვებას.

ვინაც შახტში უმუშავია, იცის, რომ გამკვეთის გათხრა მეტად ძნელი, შრომატევადი სამუშაოა. ამ სამუშაოს მხოლოდ გამოცდილ, კვალიფიციურ მეშახტეს ანდობენ. ამიტომ თვითეული გრძივი მეტრი ასეთი სამთო გამონამუშევარი ძალიან ძვირი, 9 მანეთზე მეტი ჯდება. ტრესტის სამივე შახტი გამკვეთების გათხრაზე ყოველწლიურად 300 ათას მანეთზე მეტს ხარჯავს. თვითღირებულების გადიდებას ისიც იწვევს, რომ აქ ყველა სამუშაო პროცესი ხელით სრულდება.

საბჭოთა კავშირის მთელ რიგ სამადოებში ეს პასუხსაგები სამუშაო მექანიზებულია. მეშახტეები წარმატებით იყენებენ სპეციალურ საბურღავ დანადგარს. ამ ძვირფას სამამულო მანქანას ქვანახშირის ფენაში იქ, სადაც მოქმედი სანგრევის ხაზი უნდა გაიხსნას, ფართო კვეთის ჭაბურღილი გაჰყავს. ამოსაღებ სამთო ველში მყარდება ნორმალური განიავება ჰაერის ჭავლით. ამის შემდეგ აფართოებენ ჭაბურღილს, იწყებენ სათბობის მოპოვებას.

ტუიბულის შახტებში ამ ტექნიკური სიახლის დასანერგავად არაერთი ცდა ჩატარდა. ათი წლის წინათ ლენინის სახელობის შახტმა შეიძინა საბურღავი დანადგარი. აქაური მექანიზატორები შეეცადნენ გაებურღათ ჭაბურღილი, მაგრამ ამაოდ. საჭირისი მოწყობილობა ჯერ გადაიხარა გაანგარიშებული მიმართულებიდან, შემდეგ ისე მაგრად გაეჩხირა ქვანახშირის ფენაში, რომ მისი მოძებნაც კი შეუძლებელი გახდა. გამოუძახეს კონსტრუქტორებს, მაგრამ ცდა ამაო გამოდგა. სპეციალისტებმა უიმედოდ ჩაიქნიეს ხელი. მიზეზად ყველამ აქაური ქვანახშირის ფენა მიიჩნია, რომელიც დიდი სიმკვრივის ფუჭი ქანის ჩანართებს შეიცავს.

გავიდა ხანი. ეს უსიამოვნო ეპიზოდი მიივიწყეს. მაგრამ განა ყველამ? სამთო ინჟინრები ნ. კვინიხიძე, ლ. ხუხუნი და ჯ. აფხაიძე კვლავ დაუბრუნდნენ საჭიროროტო პრობლემის გადაწყვეტას. შემოქმედებითი ფიქრისა და ძიების შემდეგ მოახდინეს საბურღავი დაზგის მთლიანი მოდერნიზაცია, აგრეგატი ადგილობრივ პირობებს შეუფუფეს.

შემოქმედებითმა აზრმა გაიმარჯვა. ახლა ორი მოდერნიზებული მანქანა შეუფერხებლად, უწუნოდ მუშაობს. ტექნიკური სიახლე დაინერგა. ტრესტში გაგაცანეს ამ სიახლის ეკონომიური ეფექტი. შესანიშნავი მაჩვენებელია. გამკვეთის თვითეული მეტრის გაკვანა, ნაცვლად 9 მანეთისა, 1 მანეთი და 17 კაპიკი ჯდება. ეს არის იშვიათი მოღწევა, დიდი გამარჯვება.

მაინც რა აწუხებს ჩემს მოკამათეს, რატომ სულავე გიჭირავ?

— აბა ეს ვინ, რომ ორი მოდერნიზებული ტრანსპორტიორი ლავა სრულებით არ ითხოვს ადგილობრივ, 1966 წელს ამ აგრეგატებმა, რომელიც ვთქვეთ, 4.000 გრძივი მეტრი გამკვეთი იქნა გაკვანილი. დანარჩენი 30 ათასი გრძივი მეტრი კი კვლავ ძველებურად, პრიმიტიულად — ხელით გაიკვანეს.

რაციონალიზატორს სხვაც აქვს გულსატკენი და საწყენი. ადგილობრივ სახელოსნოში საბურღავი დაზგების მოდერნიზება ძნელიც არის და ძვირიც. ესეც არ იყოს, არც საბურღავი მანქანების შოვნაა იოლი. ბევრად უმჯობესია მოხდეს საბურღავი დაზგების ქარხნული წესით გამოშვება. რაციონალიზატორებმა დიდიხანია დანიშნულებისამებრ გაზავნეს საჭირო ალუმინიერა და ნახაზები. მაგრამ პასუხი არა ჩანს—არც დადებითი, არც უარყოფითი.

როგორც ყოველთვის, სიახლეს წინ ელობება სიძნელეები. იგი ბრძოლით მიიწევს წინ. ასეა აქაც. ჩვენი აზრით, საქართველოს ქვანახშირის კომბინატი ქმედითად უნდა დაეხმაროს ტექნიკურ სიახლეს გზის გაკაფვაში, ცხოვრების საგზურის შეძენაში. ვინც სიახლის უყარი იცის, ასე მოიქცევა.

ტუიბულის შახტები რაც უფრო სწრაფად მიიღებენ ქარხნული წესით დამზადებულ, მოდერნიზებულ საბურღავ დაზგებს, მით უკეთესი იქნება საქმისათვის. ტექნიკური პროგრესის გზაზე გადაიდგმება კიდევ ერთი ნაბიჯი.

Თ. ᲪᲘᲠᲘᲥᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ — ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ბუნებრივ-ეკონომიური პირობები, ვაზის ჯიშთა სიუხვე და ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული ვაზისადმი ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ განვითარებას. ჩვენში გავრცელებულმა ქართული ვაზის ძვირფასმა ჯიშებმა: რქაწითელმა, საფერავმა, მწვანემ, ხიხვამ, ცოცქამ, ცოლიკაურმა, ალექსანდროულმა, ჩხაკერმა, ოჯალეშმა და სხვ. შორს გაუთქვეს სახელი საქართველოს ზვრებს. ამ ჯიშებიდან დამზადებული სამარკო ღვინოები სანაქებო იყო და არის არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

მევენახეობის შემდგომი აღმავლობისა და მეღვინეობის განვითარებისათვის უკანასკნელ წლებში დიდი ღონისძიებები ხორციელდება. ფილოქსერის მასობრივად გავრცელების გამო მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შეიქმნა ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადეზეები, რომელთა ფართობი ამჟამად 1.800 ჰექტარს აღწევს.

საქართველოს ვაზის ჯიშთა მდიდარი ფონდიდან მევენახეობის ცალკეული რაიონებისათვის შეირჩა ვაზის სამრეწველო ჯიშები. ძირეულად შეიცვალა აგროტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებათა სისტემა. ვენახების ფართობის მატებასთან ერთად საჭირო გახდა დანერგლეიყო სამუშაო პროცესების მექანიზაცია. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა ვაზისათვის მოძველებული მცირე კვეთრთვა-ფორმირების წესები. უხვი და ხარისხიანი პროდუქციის მიღების მიზნით მევენახეობის ძირითად რაიონებში ნაკვეთები გადაყვანილ იქნა შპალერზე.

თუ ოთხი ათეული წლის წინათ საქართველოში ვენახების საერთო ფართობი 30 ათას ჰექტარს ძლივს აღწევდა და ისიც მეტწილად ფილოქსერისაგან იყო დაზიანებული, ნამყენ მევენახეობაზე გადასვლით მკვეთრად გაიზარდა ფართობი და დღეისათვის „იგი 100 ათას ჰექტარს აღემატება.

მოპოვებული მიღწევები საკმარისი როდის. ხვალინდელი დღე უფრო დიდ ამოცანებს გვასახავს. საფირეტივო ორგანოების მითითებით მომდინარე შვიდწლედში დასახულია მევენახეობის განვითარების გრანდიოზული გეგმა, რომლის საფუძველზე **1970 წლისათვის ვენახების საერთო ფართობი რესპუბლიკაში აუვსებელ უნდა იქნას 135 ათას ჰექტარამდე.** ვენახების ფართობის ზრდასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება მიექცევა ყურძნის საერთო მოსავლის გადიდებას და, რაც მთავარია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

მიზეზები, რომლებიც იწვევენ ყურძნის ხარისხის დაცემას, მრავალია. ეს მიზეზები ძირითადად გამომდინარეობენ ვაზის ჯიშების არასწორი შერჩევა-გადაგილებით და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის უდროოდ და უხარისხოდ გატარებით.

ვაზის ჯიშების სწორი შერჩევა- გადგილება დღეს მეტად მტკივნეულ უბანს წარმოადგენს საქართველოს მევენახეობაში.

სამრეწველო ვაზის ჯიშებიდან, რომლებიც დიდი ხანია დაკანონებულია რესპუბლიკის რაიონებისათვის სხვადასხვა ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინოების დასამზადებლად, ფართოდ ავრცელებენ მხოლოდ რქაწითელს და ცოლიკაურს.

ეჭვს გარეშეა, რქაწითელი და ცოლიკაური კვლავაც უნდა განვითარდეს, როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მომც

საუკთესო ცხოვრება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის სხდომა დეპუტატ დ. სტურუას თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოთის ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოადგილის ვ. ბუხაიშვილ, სრულიად საკავშირო საქმეთა ინფორმაციის „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მმართველის მოადგილის დ. რეხვიაშვილ, აფხაზეთის განყოფილების მმართველის ნ. ბმულარიას და აჭარის განყოფილების მმართველის ნ. ლოლიძის ინფორმაციები უცხოელი ტურისტების მიღებისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ე. სალუქვაძემ, კავშირგაბმულობის მინისტრმა პ. ქავთარაძემ, საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა შ. დუმბაძემ, კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ვ. პატაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსმა ბ. რობიტაშვილმა, „სოიუზპეჩატის“ უფროსმა ს. ხოლოდილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სასტუმროების სამმართველოს უფროსმა ზ. მუჩრაშვილმა, საქართველოს აღკა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ რ. დონაძემ და სხვებმა.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დ. სტურუამ.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კპეპხაძემ. (საქდესი).

გოლო მოეღოს პროვოკაციებს

2 ივნისს საბჭოთა თბომავალ „თურქესტანს“, რომელიც ვიეტნამის კამფის ნავსადგურში იდგა რეიდზე, თავს დაეცა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი. ამერიკის ხელისუფალნი ცდილობდნენ უარეყოთ ეს ფაქტი. მაგრამ ჭეშმარიტება ვერ მიჩქმალეს და ამა წლის 20 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც აღიარებს, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა „შემოხვევით“ დაუშინა ცეცხლი საბჭოთა თბომავალს. ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სინანულს გამოთქვამს ამ ინციდენტის გამო და აცხადებს, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდეს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩომ საბჭოთა მთავრობის დავალებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობამ ცნობად მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტაში გამოთქმული სინანული, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა ცეცხლი დაუშინა საბჭოთა სავაჭრო გემს „თურქესტანს“, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აღთქმა, რომ ყოველ ღონეს იხმარს ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად.

სსრ კავშირის მთავრობა, აღნიშნულია საბჭოთა განცხადებაში, მოელის, რომ თბომავალ „თურქესტანისათვის“ ცეცხლის დაშენის დამნაშავენი მკაცრად დასჯებიან. საბჭოთა მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს კომპენსაცია იმის გამო, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის მეკობრული სროლის შედეგად დაიღუპა „თურქესტანის“ ეკიპაჟის წევრი, დაიჭრა ეკიპაჟის რამდენიმე სხვა წევრი, გემი კი დაზიანდა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო კვირეული

ბუხარესტი, 28 ივნისი. (საკდესი). მექსიკის დედაქალაქში დაიწყო ახალგაზრდობის საერთაშორისო კვირეული. კვირეულში მონაწილეობენ სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, მექსიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, საფრანგეთი და მთელი რიგი სხვა ქვეყნები.

კვირეულთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირმა ქალაქ მეხიკოში მოაწყო გამოფენა „სსრ კავშირი, ატომი, მშვიდობა“.

კვირეული მიეძღვნა მსოფლიოს ახალგაზრდობის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას.

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე დელეგაციებმა მადლობა გამოთქვეს საბჭოთა კავშირისადმი იმისათვის, რომ ენერგიულად დაუჭირა მხარი არაბულ ქვეყნებს განსაცდელის ძნელ ჟამს.

ეროყოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ადნან პაჩაჩიმ მხურვალე მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს, აგრეთვე აზიისა და აფრიკის ქვეყნების დიდ უმრავლესობას იმის გამო, რომ ისინი წინააღეფდგნენ ისრაელის ანექსიონისტურ პრეტენზიებს და მოითხოვენ, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები დაზავების ხაზს იქით.

